



ლექსი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის გაზეთი №1 (159) იანვარი 2023 წელი

მაგდალინა ნიკოლეიშვილი

კომედია დელ არტე



გვ. 2-3

ანნა არობელიძე

ნათვრის ხე

გვ. 5-6

ანასტასია ჩერნეცოვა

გიორგი მარგველაშვილის
სკვეთაკლის „ალუბლის ბაღი“
რეკონსტრუქცია



გვ. 6-8

ნინო შამათავა

ხედი ხის აივნებიდან

გვ. 3-5

მარიამ კაკალაშვილი

აღაშიანისა და ბუნების
ერთსახე ბოდბერძი ჩოხელთან

გვ. 8-10

კომედია დელ არტე

კომედია დელ არტე იტალიაში, ისევე როგორც მის ფარგლებს გარეთ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. XVII საუკუნეში ესპანეთის და საფრანგეთის ხელისუფლება თეატრის ამ ფორმის რეგლამენტირებას და ცენზურას შეეცადა. XVIII საუკუნეში იტალიაში კარლო გოლდონი კიდევ უფრო პოპულარულს ხდის კომედია დელ არტეს ჟანრს. გოლდონი მსახიობებისგან ტექსტის მიყოლასა და მარტივ მასხარაობაზე უარის თქმას მოითხოვდა, თანდათან უკუაგდებდა ნიღბებს და პერსონაჟებს უფრო მეტად დამახასიათებელ ინდივიდუალურობას სძენდა. მან კომედია დელ არტე სახასიათო კომედიად აქცია. გოლდონისგან განსხვავებით, კარლო გოცი ცდილობს შეინარჩუნოს კომედია დელ არტეს სატირული და პათეტიკური მხარე და გადმოიტანოს იგი თანამედროვე ჩვევებსა და პერსონაჟებზე. XIX საუკუნეში ამ ტიპის თეატრი თითქმის დავიწყებას ეძლევა, თუმცა საფრანგეთში პიეროსა და კოლომბინას პერსონაჟები პანტომიმაში იმკვიდრებენ ადგილს.

კომედია დელ არტეში რეპერტუარს ქმნიან მსახიობები, ისინი თავადვე თხზავენ წარმოდგენებში გასათამაშებელ ამბავს, ანუ სცენარს. ამის მიხედვით შექმნილ წარმოდგენებში მთავარია იმპროვიზაციით გათამაშებული სიუჟეტი, ამიტომ მსახიობებისათვის ფსიქოლოგიური ხასიათების შექმნა შეუძლებელია. მსახიობები სრულად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული წარმოდგენაში და მოესმინათ პარტნიორის ტექსტი, რათა ადეკვატური პასუხი გაეცათ, ისინი ამყარებდნენ კომუნიკაციას მაყურებელთან, რასაც უფრო მეტი მხიარულება და სიხალისე მოჰქონდა.

ახლა კი განვიხილავ რამდენიმე პერსონაჟს.

1. Pantalone არის Commedia dell'Arte-ს ცნობილი პერსონაჟი. პერსონაჟის თავდაპირველი სახელი იყო მოხუცი, სახელად „მაგნიფიკო“. ის ლაპარაკობდა უბრალო, მაგრამ მუსიკალურ ვენეციურ დიალექტზე. თავდაპირველმა სახელმა მალევე ადგილი დაუთმო უფრო ცნობილ „პანტალონეს“. ამ სახელის წარმოშობის შესახებ მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. მიჩნეულია, რომ სათავეს სან პანტალონედან იღებს ერთ-ერთი წმინდანი, რომელსაც პატივს სცემდნენ ქალაქ ვენეციაში. ვენეციურ ეკლესიას სან პანტალონეს სახელი ჰქვია. კიდევ ერთი

შესაძლო წარმოშობა ვერსია არის ტერმინი „piantaleoni“, სახელწოდება, რომელიც გამოიყენება ვაჭრებისთვის, მათ გახსნეს თავიანთი სადგომები დაპყრობილ მიწებზე და სიმბოლურად „დარგეს“ წმინდა მარკოზის ლომი, რათა გაეფარ-



თობენათ ვენეციის ქალაქი ვაჭრობის გზით. პერსონაჟი პანტალონე, ძველი ვაჭარია, ამიტომ იგი გარკვეულ სარწმუნოებას ანიჭებს ამ თეორიას. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება ამ ეპოქამდე თარიღდება და ბრუნდება ბერძნულ გამოთქმაში, რაც ნიშნავს „ყველაფერში ძღვევამოსილს“.

მისი ნიღაბი, როგორც წესი, ხაზს უსვამდა ფიზიკურ მახასიათებლებს, მათ შორის დახრილი ცხვირი და გამოკვეთილი წარბები.

2. Arlecchino-ს ნიღაბი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნიღაბია Commedia dell'Arte-ს სერიებში. მას ტრადიციულად ატარებდა პერსონაჟი არლეკინო (ინგლისურად ჰარლეკინი), რომელიც ნიშნავდა როგორც ცოტა ჭკვიან მოსულელო უბრალო მოაზროვნე ადამიანს და მუდმივად მშვიერს. არლეკინო კომედიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პერსონაჟია და ამ პერსონაჟის გამოყენება Commedia dell'Arte-ში ჯერ კიდევ 1593 წელს დაიწყო. არლეკინოს ჩვეული როლი არის ერთგული მსახური, მაგრამ ამ კონტექსტში ის ასევე არის კლოუნი, აკრობატი, როგორც კი არლეკინოს პერსონაჟი გამოდიოდა სცენაზე, ყოველთვის ბევრი სიცილი ისმოდა მის აბსურდულ ქმედებებსა და სიტყვებზე, რომელიც მონაცვლეობდა ბრწყინვალეობას და უბრალო იდიოტობას შორის. ოსტატისთვის დავალებების შესრულებისას ან ლამაზი ქალბატონის (ან ორივეს ერთად) დევნისას ის ყოველგვარ ჩხუბში ერეო-



და. იყენებდა ყველა ხერხს, რაც შეეძლო თავისი მიზნების მისაღწევად. არლეკინოს კოსტიუმი ჩვეულებრივ მოიცავდა ქურთუკს და შარვალს ფერადი და უსწორმასწორო ლაქებით, თეთრი თექის კურდღლის ან მელას კუდით და ქამრით ხის სპატულით (სლაპის ჯოხი). მას იყენებდნენ პოლენტას გასარევად ან ხანდახან სხვა ადამიანის, ამანათის, ბარგის, საკვების ან სხვა ნივთიერების დასაღვებად, რომელიც სხვას ეკუთვნოდა! არლეკინოს ნილაბს აქვს მოღრუბლული ცხვირი, ზოგჯერ მუწუკი შუბლზე და, როგორც წესი, ეშმაკური და კატის თვისებებით. ის ნამდვილად ფერადი პერსონაჟია.

ის რაც დაიწყო ჯერ კიდევ ხალხური სანახაობების, ფარსული წარმოდგენების და კარნავალური დღესასწაულების პერიოდში, გაგრძელდა საუკუნეების განმავლობაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალური თეატრი. მთავარ დევიზს, რაც გააჩნდა კომედია დელ'არტეს - „გაერთო და სარგებლობა“ მოეტანა მაყურებლისათვის - მსახიობები ტემპარიტად ამართლებდნენ.

მამდალინა ნიკოლიევილი

ხელი ხის აივნოდან

I

ჩემი სახლის აივნოდან თუ გადაიხედდავთ, უზარმაზარ ხვამლის მთას დაინახავთ, რომლის დაკლაკნილ ბილიკებსაც ყოველ დილით ფეხით მივუყვები. არ მეშინია ამ ჯადოსნური მთის წვერზე ასვლის და იქიდან ჩემივე აივნის დათვალიერების. ვხედავ პატარა ხის სახლში, ნახევარ საუკუნეზე მეტი რომ უცხოვრია და თან, სულ რაჭაში (ცოტათი მშურს კიდევ). ხვამლის მთაზე ვდგავარ სულ მართო და საერთოდ არ მთრგუნავს მისი სიდიადე, პირიქით, მშვიდად ვარ და ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ ფეხებში, რომ შემოძლია მიწას არც კი შევხებო. ეს მთა, სადაც მთელ ზაფხულს ვატარებ, თავისუფლების მთაა, სასიამოვნო მარტოობის მთა, ასრულებული ოცნებების მთა, ჩემი აივნის მთაა, იქამდე, სანამ დურბინდს გამომტაცებენ ხელიდან. ამ დროს დილის მოგზაურობა მთავრდება. საღამოს რიონის სანახებში ვაგრძელებ ხეტიალს. რიონის ნაპირს მივუყვები ჩქარი ნაბიჯით, გასწრობანას ვეთამაშები. და აი, სადაცაა გავასწრებ კიდევ...

- მაფიოზობანა არ ვითამაშოთ?

ეს უკვე ღამის რიტუალია, რომელსაც ვერაფრით ვერ ვულაღატებთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მობებრებული გვაქვს მაფიოზის დევნა და ამ დევნის აუტანელი ჭიჭყინი.

ჩემი პატარა ეზოს დათვალიერებაც მიყვარს აივნოდან: ორი კაკლის ხე, ორი ვაშლის, ერთი ალუბლის, ორი თხილის, თითო-თითო ქლიავისა და ღოღნოშოსი, ერთი გამხმარი მსხლის ხე და ამ მსხლის ხის სახელზე დარგული სამი ახალი სიცოცხლე. ამ ყველაფერს კი ჩემთან ერთად თვალ - ყურს ადევნებს კოდალებისგან გაბებრებული, მაგრამ მაინც მედიდურად წამოჭიმული ხის სახლი. აქ, რაჭაში, ყველა სახლი თავისებურია, თავისებურად ღირსეული და ღირსეულად ჩაფიქრებული.

თითოეულს თავისი ისტორია აქვს საძირკველში ჩამარხული და თუ კარგად დააკვირდებით, ამოიკითხავთ კიდევ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფიცარ-ფიცარ, აგურ-აგურ. რიონის სანახებიდან წამოსული ნიავი ახალი სულის შთაბერვასავითაა ჩემი ეზოსთვის. წამოუბერავს, ააცანცარებს თითოეულ ფოთოლს, კვირტებს ნაყოფებად გარდაქმნას უსურვებს, ყვავილის ფურცლებს რაჭულსაც აცეკვებს და მერე გაქრება, ხელმეორედ შემოჭრამდე. ყველა ეზო არ სუნთქავს მგონი და ყვავილებიც იშვიათად ცეკვავენ. ერთხელ, თეთრად შემოსილ კვირტს გავუღიმე, ისიც იმ წუთასვე გაიფურჩქნა და ვიგრძენი, რომ ჩემთვის მოკვდებოდა კიდევ.

რაჭაში ამინდიც თავისებურია. ამ ზაფხულს მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ვიცი, სიცხისგან გამოფიტული ბუნებისათვის წვიმის წამოსვლა ხელმეორედ დაბადებასავითაა. კოკისპირული წვიმის ხმა და სველი მიწის სურნელი სასიამოვნოდ გამაბრუებელია. ნისლი კიდევ ისე მოსდებიან ირგვლივ ყველაფერს, თითქოს იმის იქით არც არაფერია, მხოლოდ ნისლს აქეთაა სიცოცხლე; აქ ყვავის ვაშლის ხე, აქ ბზუის ფუტკარი და მწიფდება ყურძენი. ჩემთვის მართლა აქ იწყება ზაფხული, ჩემს აივანზე, ფინჯანი ყავით ხელში. მაგიწყდება მომაბებრებელი ქაოსი, თბილისის დამძიმებული ჰაერი, მანქანების გაუთავებელი მიმოსვლა და რეგულაციები, რომელთაც ხან ვიცავთ და ხან - არა.

ადამიანი შეიძლება ისე გაერთოს თავისივე შეკოწიწებული და ერთ მთლიანობად აკინძული ფიქრებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გამოეპაროს. ჰოდა, მეც, საკუთარი თავის მეზღაპრე, ერთ წვიმიან დღეს, ვზივარ და ვფიქრობ, მეტი რაღა შეიძლება დაემართოს ადამიანს ცალკე და კაცობრიობას ერთად. თან ყოველი წვეთის სახურავზე დაწკაპუნება მაღამოდ ედება ჩემს თბილისურ, ანუ



გადაქანცულ ნერვებს. მოკლედ, მე, წვიმა და ჩემი ზოგადსაკაცობრიო ფიქრები მშვიდად ვსხედვართ აგიზგიზებულ ღუმელთან, მერე რატომღაც აკაკი მახსენდება ფრაზით: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“. ამის გახსენება ცუდად მხედება გულზე და ალბათ ამიტომაც ვიხედები აივანზე და ვხედავ, რომ წიგნს, რომელსაც განგებ ნელა ვკითხულობ, ის წვიმა ასველებს, მე რომ ფიქრები გადავშაღე და იმასაც კი ვერ ვხვდები, ამ წიგნის ფურცლები წყლის წვეთებმა, კაცობრიობის ნაღველმა თუ ერთი ფრაზის ასკერ ამოკითხვამ დაადნო. სახლში ვართ უკვე ორივე და მე ბოდიშზე უფრო გულწრფელ სიტყვას ვეძებ და ის, ალბათ, ამ ბოდიშის გარეშეც მპატიობს.

ბავშვობიდან მჯერა, რომ ჭექა-ქუხილის დროს ღრუბლები ჩხუბობენ, რაღაც ვერ გაუყვიათ და გაბრაზებულები გრუხუნებენ. ახლაც, სადღაც ცის იქით მრისხანებს ორი ღრუბელი. გულისგამაწვრილებელი ხმები ჩამოდის მიწაზე. ელავს. შემადრწუნებლად ლამაზია ელვის შუქი. სადღაც მეხიც გავარდა, გვიხარია, რომ ჩვენგან შორს. თან ვწუხვართ კიდევ იმ მეხნაკრავ შორეთზე. რანაირია ადამიანის ბუნება, არა?! ცხარე ცრემლით ტირის დამარცხებული ღრუბელი. კიდევ დიდხანს იტირებს, იტირებს იქამდე, სანამ სულ მთლად არ გამოშრება და ქარი არ გაფანტავს. იმის ადგილას ახალი ღრუბელი გაჩნდება, აუცილებლად გაჩნდება, რადგან ბრძენს უთქვამს: „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბალნაროსაო“. ჰოდა, მოვა გამარჯვების ჟინით შეპყრობილი მორიგი ღრუბელი. წააგებს თუ მოიგებს, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნება, რადგან მაინც იქუხებს, მაინც გაწვიმდება.

რაჭაში წვიმიანი ამინდი გაიძულეხს, რომ ისეთ რაღაცებზე იფიქრო, რაზეც აქამდე არ გიფიქრია.

მეოთხედი მთვარე და არც ერთი ვარსკვლავი ცაზე, თითქოს ეს წყვილიადა გონებას ანათებს. „ყველაზე ნათელი სიბნელე“ – ფიქრობ შენთვის და ამ სიტყვების უცნაურობას გულშივე იკლავ. ვთქვათ და, ხმამაღლა ფიქრი დაიწყე, ცეცხლის გარშემო შემოიკრიბე ადამიანები და შენს გონებაში აქამდე გავლილი ყველა ფიქრი სიტყვებად გადმოშალე. მერე, რა ხდება ამ დროს ცეცხლთან?! სიმინდი იწვის, ისევე როგორც შენი ყელი, ძლივს წარმოთქმული ფიქრების გამო. და ადამიანები?! ჩურჩულებენ და ეს ჩურჩული ყველაზე ხმამაღალი და არაფრისმომცემია, ჭრიჭინების ჭრიჭინზე მეტად არაფრისმომცემიც კი.

სავსე მთვარე და უამრავი ვარსკვლავი ცაზე და შენ უკვე ჩუმად ხარ, ცეცხლიც ოდნავ ბუტუტავს, ადამიანები კი მაინც ჩურჩულებენ, ისე თითქოს ნორმაა ერთმანეთის ვერგაგება.

ერთი წვიმიანი დღეა ისევ, თითქმის ოთხი საათია და თითქმის ჩამქრალ ღუმელთან შემოძლია

თითქმის ვიფიქრო, რადგან ჩემ თავს ყველაფერი ყოველთვის თითქმის ხდება. ვამბობ, სრულყოფილებისკენ არც მივილტვი-მეთქი, მაგრამ მე ხომ მაინც ვიცი (და უკვე თქვენც), რომ ვიტყუები. ეს ჩემი თითქმის გულახდილი საუბრებიც თითქმის განთიადს ეპოტინება და თან ეშინია, ვაი და, ეს განთიადი აღარც გათენდეს. საბანიც თითქმის შემოკეცილი მაქვს, მაგრამ თითქმის ჩამქრალ ღუმელთან მეორე თითქმის უკვე გაყინული სხეულია. თითქმის წაკითხული წიგნიც „ოცდაათი წლის ქალი“, რომელშიც ქალი თითქმის ორმოცი წლისაა, გადაშლას მთხოვს, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, დავიძინებ. ოღონდ ეს ძილიც თითქმის ძილი იქნება, ძილში სიფხიბლე, სიბმრების გადაძვირდება.

უსაქმურობისგან, გამოდარების მოლოდინში, გავაცოცხლე გამხმარი მსხლის ხე, გავაბრაზე ყურძნის მტევანი, ვეკამათე მეზობლის სიმინდებს და ვეთამაშე ათასი პარტია ნარდი ნიძლავზე პარამიტ კოდალას, ჩემს სახლს წლებია რომ ტანჯავს. ჰოდა, მოვუგე და წაგებულსაც ჩააბარებს, სახლს საერთოდ აღარ გაეკარება.

მოკლედ (თუმცა, ვერ ვთქვი გრძელი სიტყვა მოკლედ), თუ გინდათ რაჭამ გული ბოლომდე გადაგიშალოთ, ჩემს აივანს ესტუმრეთ. საჭიროა წვიმიანი ამინდი, ბევრი სიყვარული და სულ ცოტა ფანტაზია.

||

წამით ჩემს სულში

დილით, ადრე, თეთრ სამოსში გამოწყობილი ოთახში შემოვიდა. ჯერ იდგა, შემდეგ ჩამოჯდა. სახეზე ბედნიერების სხივი გადაჰკვროდა. მე ცოტახანს ხმაც არ ამომილია, ხარბად ვუყურებდი მონატრებულ სილამაზეს, მერე კი ახლოს მივედი და ის სურნელი შევიგრძენი, ყოველთვის რომ დამყვებოდა აჩრდილად.

დავმშვიდდი და მივხვდი, რომ უნდა შემეწყვიტა ასე „მწარე სუნთქვით სუნთქვა“, რადგან ის ამჯერად არსად წავიდოდა, ამ წამებში ეს სურნელიც და თავად ქალიც მხოლოდ მე მეკუთვნოდა.

თავს უფლება მივეცი და ქალის გვერდით ჩამოვჯექი ცოტახანს.

მისგან მის ყოვლისმთქმელ თვალებში გადავეშვი, ხან რომ კამკამებდა, ხანაც ზღვასავით რომ ბობოქრობდა და გულს ეეჭ, მონატრებია ეს მომენტი, თანაც როგორ მტანჯველად!

სიყვარულს ხომ ვერავინ ხსნის მანამ, სანამ არ შეიკძრძნობს, თურმე

მონატრებაც ასე ყოფილა. მუდამ გაწამებს, თავს გახსენებს და შენ თვალწინ დარბის იმ ადამიანის

ჩრდილად , რომელიც წამში აორთქლდა და ვერც კი ხვდები რატომ.

მეგონა გვერდით გამწვედა, თუმცა ისიც ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა ჩემს ნაკვთებს , როგორც მე, ისე მეთამაშებოდა, მიღიმოდა და მე-აღერსებოდა, როგორც პატარა ბავშვს მშობელი სანუგეშოდ.

იცით, ცხოვრებაშიც ასე იყო

მისი წყალობით ცივი ნიავი არასდროს მოჭკარებია ჩემს სახეს, როცა მციოდა მათობდა ქალის სუნთქვაც კი.

ჩემთვის შვება იყო მისი არსებობა, რადგან ყოველგვარ გაჭირვებაში მაღამოს ფუნქციას ისისხლხორცებდა. ეჭვიიიი! ვარ ადამიანი, რომელსაც არასდროს არაფრის შეშინებია, რატომ? აბა სცადეთ და იპოვეთ სულის ნაწილი, მერე კი მიხვდებით, რა ჭეშმარიტებასაც ვლაღადებ. მაშინაც კი, როცა ომში ვიყავი და ტყვიები მეხის ხმასავით გუგუნებდნენ , ვიცოდი სიკვდილის უფლება არ მქონდა, რადგან ჩემი ნაწილი სახლში მიცდიდა. ადამიანის ნახევრად ყოფნას კი აზრი არ აქვს!

ხელი ასწია, ჩემს სახეზე დააწყო ხუთივე თითი მაშინ კი ისეთი სიმხურვალე ვიგრძენი, თითქოს საუკუნოდ გათბა ჩემი სხეული ისე, რომ სიკვდილიც ვერ გაჭყინავდა. ახლოს მოიწია, ყურში რაღაც თბილი, სანუგეშო მიჩურჩულა, მაგრამ კარგად ვერ გავიგე ,რადგან წამიერად ჭექა-ქუხილის მრისხანებამ გამაბრუა

და ორივე თვალი უმაღლ გამახელინა... ჯერ კიდევ ბინდი გადამკვროდა, მაშინვე თეთრკაბიანი ქალის ძებნა დავიწყე.

ავდექი, გიჟივით ვაიძულებდი თავს, გამეხსენებინა იმ სიტყვათა მელოდია, საამოდ რომ დამიტოვა ყურში.

ვწყევლიდი გაბატონებულ ამინდს, რადგან დამაყრუა და გადაფარა ქალის ბგერა.

გარეთ გავედი, სავარძელში ჩავჯექი და გამწარებულმა ცას შევხედე,

მინდოდა დავმშვიდებულიყავი,

მაგრამ ვიჯექი უსუსურად გაყინული, უგზო-უკვლოდ დაკარგული. ჩემს ფიქრებში ვეთამაშები მის სახეს და ჩემი აკანკალებული ათრთოლებული ტუჩები ერთსა და იმავეს იმეორებდა - დამესიზმრე, დამესიზმრე, დამესიზმრე!

დღე შემძულდა! სულით ხორცამდე შემეყვარდა ღამე, რადგან იმედი მაინც მაქვს მისი მოსვლისა .

დღისით რეალობას თვალს ვუსწორებ, რაც მანადგურებს და ნაფლეთ-ნაფლეთ გლეჯს ჩემს გულს.

ეჰ, ღმერთო, რა ვიცოდი ,თუ ასე ხანმოკლე იქნებოდა ჩემი ბედნიერება

თორემმ

ნინო შამათაძე

ნატვრის ხე

თენგიზ აბულაძეს „ნატვრის ხე“ გადაღებულია გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებული მიხედვით. მოქმედება ვითარდება მთავარი პერსონაჟის გარშემო. მარიტა (ლიკა ქავუარაძე) წარმოჩენილია, როგორც სიკეთის და სილამაზის განსა-

ხიერება. მისი სილამაზე და უმწიკვლოება მთელ სოფელს ხიბლავს და უფრთხილდება. თუმცა, მიუხედავად მისი სიწმინდისა, პირადი ისტორია ტრაგიკულად ვითარდება. მარიტას სურვილის საწინააღმდეგოდ ათხოვებენ კაცზე, რომელიც წარმოსადეგი, მდიდარი და სხვების აზრით მისი შესაფერისია. ქალს კი თავისი მეზობელი გედია უყვარს, მაგრამ მათი სიყვარული მხოლოდ შორიდან ტრფობად რჩება.

ერთი შეხედვით გეგონება, თითქოს ფილმი ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაა, როგორც რომეო და ჯულიეტასი, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინებ ვერ დეტალს, რომელსაც აქამდე ვერ ვხედავდით. დავიწყოთ ფილმის დასაწყისიდან, სადაც წითელი ყაყაჩოების მდელაში გედიას ხელით კვდება ცხენი - თეთრი, ლამაზი და წმინდა. ეს ეპიზოდი მიგვანიშნებს ფილმის შემდეგ განვითარებაზე. მარიტაც სწორედ ამ ცხენივით კვდება და ამაში გედიას



არაპირდაპირი ბრალი მიუძღვის. ცხენის სიკვდილის ეპიზოდში ვხედავთ გედიას ტკივილს, რომელიც საყვარელი ადამიანის დაკარგვით წარმოიქმნება. თანასოფელე ციციკორეს კი ორივე ცხენის და მარიტას სიკვდილში დიდი წვლილი მიუძღვის.

მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, რომ ფილმი გადაღებულია 1976 წელს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა. ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი

და გამორჩეული პერსონაჟი ფუფალა ცხოვრობს თავის პატარა სამყაროში. ის თავის წარმოსახვაში პოულობს თავისუფლებას და ბედნიერებას. მას ყველა დასცინის – უფროსი თაობა და მათი შვილები, რომლებიც, რასაც ისმენენ, იმას იმეორებენ. ფუფალა არავის არაფერს უშავებს, პირიქით, ის ბევრს ეხმარება. ოცნებობს ხმამაღლა და მიუხედავად ყველაფრისა ამბობს, რომ ლამაზი იყო და თავი ახლაც ლამაზი ჰგონია.

ყველა ადამიანი სხვანაირად შეხედავს ამ ფილმს. მაგრამ აღსანიშნავია, როგორ აქვს თენგიზ აბულაძეს ბრბოს ფსიქოლოგია გადმოცემული. მარიტას სიკვდილში ყველაზე დიდი წვლილი საზოგადოებას მიუძღვის, რომელსაც არ აინტერესებს არაფერი სანახაობის გარდა. მისი დასჯა არაფრის გამო. ერთი ადამიანის შეხედულების მიხედვით. როდესაც პირველი ადამიანი ესვრის ტალახს, მას მთელი სოფელი უერთდება, რასაც საბოლოოდ ტრაგიკულ ფინალთან მივყავართ.

საბოლოო ჯამში, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“ ყველა თაობისთვის საყვარელი ფილმია, რომელიც ისტორიას დარჩა, როგორც ქართული კინოს ერთ-ერთი შედეგრი.



ანნა არობელიძე

გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლის „ალუბლის ბაღი“ რეკონსტრუქცია

„გასული საუკუნის მიწურულსა და ამ საუკუნის დასაწყისში მხატვრულ ლიტერატურაში ანტონ ჩეხოვმა ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო რევოლუციის გარდაუვალობა, როცა იგი მხოლოდ ჩანასახის სახით იყო, ხოლო საზოგადოება აგრძელებდა სიმდიდრეში ბანაობას. მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა განგაშის ხარი. ვინ თუ არა მან, გაჩეხა მშვენიერი, აყვავებული ალუბლის ბაღი, იგი ხვდებოდა, რომ მისი დრო სრულდებოდა, რომ ძველი ცხოვრება ნგრევით იყო განკითხული“.¹

ამ სიტყვებს წერდა კონსტანტინ სტანისლავსკი ანტონ ჩეხოვზე და მის 1903 წელს დაწერილ პიესაზე – „ალუბლის ბაღი“.

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში გიორგი (გოგი) მარგველაშვილის 2004 წელს დადგმულ „ალუბლის ბაღში“ ჩადებულია თავისებური წინასწარმეტყველება. სპექტაკლის პრემიერა შედგა მაშინ, როდესაც ვარდების რევოლუცია ჩავლილი იყო, მაგრამ (ალბათ) არავინ იცოდა, რომ რვა წელიწადში ჩვენი ქვეყნის სათავეში იქნებოდა ლოპახინისნაირი ბიზნესმენი.



ჩეხოვთან და რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილთანაც „ალუბლის ბაღი“ არის ქვეყნისა და მისი საზოგადოების მეტაფორა. ნინელი ჭანკვეტაძის რანევსკაია სიცოცხლისმოყვარე ქარაფშუტა ქალია, მის შესრულებაში ჭარბობს მანერულობა, მისი ლუბოვ ანდრეევნა ემპათიას იწვევს მხოლოდ სპექტაკლის ფინალში. გადაცემაში „სპექტაკლის დრო“ ნინელი ჭანკვეტაძეს უთქვამს,

¹ Станиславский., Моя жизнь в искусстве., Стр.324-325.

რომ გოგი მარგველაშვილი უფრო მკაცრადაა განწყობილი გაევისა და რანევესკაიას თაობისადმი, ხოლო მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც გასულ საუკუნეში, რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა „ალუბლის ბაღზე“, - ჩანაფიქრი გარდაცვალების გამო ბოლომდე ვერ მიიყვანა, თანაგრძნობას გამოხატავდა ამ ორი პერსონაჟის მიმართ.

ნინელი ჭანკვეტაძის ლუბოვ ანდრეევნას ალუბლის ბაღის გაყიდვამდე სხვადასხვა ფერადი, მდიდრული საზეიმო სამოსი აცვია (მხატვარი - შოთა გლურჯიძე), ხოლო ბოლოს, მის ჩაცმულობაში დომინირებს შავი, სადღესასწაულო განწყობილება გამქრალია. იგი გლოვობს ალუბლის ბაღის დაკარგვასა და საკუთარ ცხოვრებას. შავი ზოგადად გლოვის ფერია და ჩეხოვის პიესებში ხშირად ფიგურირებს, „თოლიაში“ მაშას ჩაცმულობაში, ხოლო „სამ დაში“, რემარკის თანახმად, მაშა შავი კაბითაა შემოსილი.

დავუბრუნდეთ რანევესკაიას, ნინელი ჭანკვეტაძე ერთ-ერთ მიზანსცენაში გია როინიშვილის ლოპახინს ეუბნება - „წარმოდგენებს კი არა, თქვენს ცხოვრებას უნდა უყურებდეთ... რა ნაცრისფერია თქვენი ცხოვრება, რა მოსაწყენია და რამდენს ლაპარაკობთ უაზროდ“. ამას ამბობს ის პერსონაჟი, რომელიც ერთი დღით ცხოვრობს და ნაკლებად უყურებს საკუთარ ცხოვრებას. დიახ, ლუბოვ ანდრეევნას აწმყო ფერადი და მხიარულია, ისიც ილუმორული, როგორც შარლოტას (ეკა ჩხეიძე) შოუ, მაგრამ მისი ცხოვრების ფინალი ფატალურია. მოგონებებით სავსე სკივრი მისსავე კუბოდ იქცევა. საინტერესოა ისიც, რომ გია როინიშვილის გმირი ლუბოვ ანდრეევნას თაიგულს აჩუქებს ჩამოსვლისას და დამშვიდობებისას. თავიდან ნინელი ჭანკვეტაძე ყვავილებს ჰაერში ისვრის, ხოლო დასასრულისკენ, შავებში მოსილ რანევესკაიას ამ ყვავილებს ლოპახინი ფეხებთან ისე უწყობს, თითქოს პანაშვიდზეა მისული. მართლაც, სპექტაკლის ფინალში ეს თაიგული რანევესკაიას კუბოდ გადაქცეულ სკივრთან დევს.

როგორც ანტონ ჩეხოვის პიესაში, ისე გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლში რეკვიზიტსაც სიმბო-



ლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვს. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სკივრზე, მაგრამ არ გვიხსენებია ამ პიესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო - რანევესკაიასა და გაევის ბავშვობის დროინდელი კარადა. ეს კარადაც მოგონებების სიმბოლოა. ამ სპექტაკლის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მიზანსცენა - ალუბლის ბაღის გაყიდვის ამბის გაგების შემდეგ, ნინელი ჭანკვეტაძის რანევესკაია შედის კარადაში, ხოლო ეკა ჩხეიძის შარლოტა, როგორც ილუმინისტი, „აქრობს“ მას. ამით თითქოს რეჟისორი რანევესკაიას სიკვდილისთვის გვამზადებს.

გია როინიშვილის ლოპახინი ირონიითა და სარკაზმით გამსჭვალული მამაკაცია. რასაკვირველია, თავისებურად იგი პატივს სცემს ლუბოვ ანდრეევნას, რომელიც ბავშვობაში მას, თავისი მაღალი სოციალური სტატუსის მიუხედავად, კარგად ეპყრობოდა და იცავდა მოძალადე მამისგან. ლოპახინს სიღარიბის კომპლექსი ჰქონდა, მისი წინაპრები ლუბოვ ანდრეევნას ოჯახის ყმები იყვნენ, შესაბამისად, მისი მამულის შექმნა საკუთარ კომპლექსებზე გამარჯვებას ნიშნავდა. როგორც რიჩარდ მესამე, ლოპახინიც არ დაბადებულა ისეთად, როგორიც არის, აშკარაა, რომ გარემოებამ განაპირობა მისი პრაგმატიზმი. გია როინიშვილის პერსონაჟი ირონიითა და აგრესიით ამბობს: „...ღმერთო ჩემო, განსვენებული მამაჩემი და პაპაჩემი საფლავებიდან რომ წამოდგნენ და ნახონ, რომ მათმა ნაშვირმა, იერმოლაიმ, წერა-კითხვის უცოდინარმა, ფეხშიშველა რომ დარბოდა აქ ზამთარში, იყიდა მამული, რომლის მსგავსი დედამიწის ბურგზე არ არსებობს. სადაც მამაჩემი და პაპაჩემი მონები იყვნენ...მოდიო, ნახეთ, როგორ ავიღებ ნაჯახს და გავჩეხავ ალუბლის ბაღს“. იერმოლაი ალექსევიჩის განზრახული აქვს ალუბლის ბაღის ადგილას აგარაკების აშენება და კარგი შემოსავლის მიღება. დღესაც რამდენი ტერიტორიაა საქართველოში შექმნილი ოლიგარქის მიერ, რამდენი მშვენიერი ადგილია გადაქცეული შუშისა და ბეტონის კომერციულ შენობად.

ნანა ბუთხუზის ვარია ძალზე სევდიანი ადამიანია, როგორც რანევესკაია, ილუმორულ ბედნიერებას ვერ იქმნის. მას უწევს დედამისის ქარაფშუტობის, უსახსრობისა და საყვარელი მამაკაცის - ლოპახინის გულგრილობის ატანა. მისი პერსონაჟი განსაკუთრებულად ემოციურია ლოპახინთან ბოლო დიალოგში, როდესაც სცილი ისტერიულ ტირილში გადაეზრდება.

ეკა ჩხეიძის შარლოტა ბრუტალური, ირონიული ქალბატონია. ყოველივე მის საუბრის მანერაში, მიხვრა-მოხვრასა და ჩაცმულობაში ჩანს (თეთრ პერანგზე ნაცრისფერი კლასიკუტი „ჟილეტი“ და



ამავე სტილის შარვალი), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეპიხოდოვს (ზაზა მიქაშავიძე) სანადირო თოფით ეთამაშება. ეკა ჩხეიძის გმირი საოცარი „შოუ ვუმანია“, რაც ნათლად ჩანს რანევსკაიას თხოვნით გამართულ მეჯლის-მასკარადზე ილუზიონისტურ ნომრებში.

სპექტაკლში პაატა ბარათაშვილის გაევი უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევს, ვიდრე ლუბოვ ანდრეევნა. ალბათ ეს იმის გამოა, რომ ნინელი ჭან-

კვეტაძის პერსონაჟი მოჩვენებით მხიარულებას ქმნიდა, ხოლო პაატა ბარათაშვილი თავისი პერსონაჟის სევდას არ ნიღბავდა.

ამასთანავე, ორიოდ სიტყვით მსურს შევეხო სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებას. გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოები ძალზე კარგად ესადაგება ამა თუ იმ მიზანსცენას, ამის თვალსაჩინო მაგალითია მინდვრის სცენა, როცა ებრაული ორკესტრის მუსიკა ჟღერს (გიორა ფეიდმანის - Ani Ole Yerushalaim). აღნიშნული ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები რანევსკაიას სევდიან განწყობას ამძაფრებს.

საბოლოო ჯამში, მინდა ვთქვა, რომ გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლმა - „ალუბლის ბალი“, როგორც ჩეხოვის პიესამ, დროს გაუსწრო. მართალია, აღნიშნული დადგმა დიდი ხანია, რაც არაა თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში, მაგრამ დღეს იგი ძალზე აქტუალური იქნებოდა.

ანასთანია ჩერნეცოვა

ადამიანისა და ბუნების ერთსახე გოდერძი ჩოხელთან

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას მუდმივ „სწორ თეთრ ხაზად“ გასდევს ბუნება და ადამიანი. მის მოთხრობებში, რომანებსა თუ ფილმებში ყოველთვის არის ნაჩვენები ადამიანის გავლენა გარემოზე და პირიქით. მისი პერსონაჟები გამოირჩევიან ბუნებასთან განსაკუთრებული კავშირით, რაც ხშირ შემთხვევაში ბევრად აღემატება ადამიანურ ურთიერთობებს.

გოდერძი ჩოხელთან ბევრჯერ გვხვდება ადამიანისა და ბუნების ერთიანობის მცდელობა, რომელიც წარმატებულად მხოლოდ ერთ მოთხრობაში ხორციელდება - „წერილი ნაძვებს“. ასევე მცდელობის მაგალითია „თევზის წერილები“ სადაც გამიხარდაი ცდილობს გაეცეს ადამიანებს და მათ საშინელ ადამიანობას. გამიხარდაი ჩადის არაგვში, ხდება თევზი, ბუნების ნაწილი, სადაც ადამიანის მოკვეთა არ არსებობს: „ადამიანის მოკვეთა თქვენი ძველისძველი ხერხია, სხვათა შორის, თევზებს არა გვაქვს ეგეთი კანონები“.

არაგვს ძალიან დიდი როლი უჭირავს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში და ის უმეტესად გან-

წმენდის როლს თამაშობს, გამიხარდაი „თევზის წერილებიდან“ სწორედ არაგვში დაღვეს სულს. არაგვი გარეცხავს ვარდისფერ კაცს, არაგვს მიაქვს ჩაჩა - ნაწილიანი და ხალხის დარდები მიაქვს



ღმერთთან. „გაცოფებული ეხეთქებოდა კედლებს მდინარე, არც კი უგრძნია, თუ ვინმე ჩაუვარდა ამ-ღვრეულ ტალღებში [...]“

სწორედ მსგავსი მოთხრობაა „წერილი ნაძვებს“ და პირდაპირ აღწერს ბუნებისა და ადამიანის ერთ მთლიანობად გარდაქმნას. ამ მოთხრობასთან დაკავშირებით რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი იხსენებს: „მისი მოთხრობა, რომელმაც მე სრულიად გამაკვირვა და მერე ისიც ფილმად აქცია, არის „წერილი ნაძვებს“, – მხარზე რომ ამოუვიდა ადამიანს ნაძვი, რომელიც როგორც შვილი, ისე ჰყავდა და ბოლოს მისთვის მოკვდა. ამოთხარა მიწა, ჩაწვა შიგნით და ნაძვი გაახარა, თვითონ მოკვდა. ანუ ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ჩვენ ვიქცევით ჩვენი შვილებისთვის“.

„წერილი ნაძვებს“ ერთგვარი მეტამორფოზაა ადამიანიდან მარადმწვანე ნაძვამდე, რომელსაც თავდაპირველად სოფლის თვალთ ვეცნობით. ავტორი არჩევს, რომ ჯერ შევხედოთ გარემოს ხალხის, ბრბოს თვალთ, შემდეგ კი ბერისა და ნაძვის დამოკიდებულება იკვეთება. სოფლის დამოკიდებულება ორგვარია. ერთის მხრივ – ბრბო რაღაც ძალიან უცნაური გზით ერთ გადაწყვეტილებამდე მივიდა – ნაძვი ბერის მხარზე უნდა მოიჭრას. უცნაური ფაქტია, როდესაც სოფელი გაკვირვებულია ბერის მზრუნველობით ნაძვისადმი და არა იმ ფაქტით, რომ მის მხარზე ხე აღმოცენდა. პატარა ნაძვი ომის ტრილოზიდან გაიზარდა. ეს არის ბერის ახლიდან დაბადება, მისი და ბუნების ერთსახედ ქცევის დასაწყისი.

არაა გასაკვირი, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი სოფლის განსახილველი თემაა, რადგანაც მათ არ იციან, ისინი ვერასოდეს მიხვდებიან, როგორია გრძნობდე გულზე შემოჭდობილ ფესვებს, რომლებიც მუდმივად იზრდებიან, მოძრაობენ შენში.

„ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს“ – ამ ციტატიდან ვხედავთ, როგორ მძლავრად არის ჩაჭიდებული ჯერ კიდევ პატარა, სიკვდილამდე მისული ნაძვი ბერის გულს. გოდერძი ჩოხელი აღწერს ადამიანისა და ბუნების შერწყმას, არა როგორც უცნაურობას, სიგიჟეს, არამედ ბუნებრივ მოვლენას.

მოთხრობის პირველივე აბზაციდან ვხვდებით, რომ ბერი არასოდეს მოიშორებს ნაძვს და რომც მოიშოროს, ფესვები იმდენად ღრმად არის გადგმული ადამიანის სხეულში, რომ ის ვერასდროს დარჩება მარტო. ბერისა და ნაძვის შერწყმა ორმხრივი პროცესია: „ისინი სვამდნენ ურთიერთს და ერთ მთლიანს ავსებდნენ თანდათან“.

ერთი მხრივ, მართლაც ვხედავთ ბერისა და ნაძვის „ბრძოლას“, რომელიც ბერის გულს დღითი

დღე აუარესებს. ის ფაქტი, რომ ბერის ცუდად ყოფნა ნაძვსაც ახმობს, მათი „ერთსახის“ დამადასტურებელია.

სოფელი ბერსა და მის „შვილობილ“ ნაძვს, როგორც სანახაობას, ისე აღიქვამს. იმის მიუხედავად, რომ ყველა ცდილობს წიწვებდამტკნარი ნაძვი ბერს მოაშოროს მხარიდან, ეს ყველაფერი მაინც მოჩვენებითია. მოთხრობაშიც და ფილმშიც ეს ერთობლივი შეშფოთება და ამავედროული აღტაცება ძალიან კარგად არის გადმოცემული, თუმცა უფრო მეტად ეკრანიზაციაშია წინ წამოწეული. ფილმში ვხედავთ რეპორტიორებს, რომლებიც მოთხრობაში არ გვხვდება. ისინი ცდილობენ აღწერონ და აღბეჭდონ მოვლენა, ფოტოების გადაღების შემდეგ კი ბერს ისევ მიატოვებენ ბორჯომის ტყეებში. ასევე, გოდერძი ჩოხელი ფილმში უფრო მკვეთრად აღბეჭდავს ბერისა და მისი ნაძვის გამასხარავებას. განსაკუთრებით მძაფრია სცენა, როდესაც ბერს და მის ნაძვს მორთავენ სკოლის ზეიმისათვის. მოთხრობაში ვხედავთ, როგორ ეშინია ბერს, არ დაატეხონ ტოტები, თუმცა იქ ზეიმი არ იმართება. ეკრანიზაციაში ბერის გამომეტყველებაზე ვამჩნევთ, როგორი შეშინებულია, რომ მის ნაძვს არ ეტკინოს და სწორედ ეს შიში ბერის გულს კიდევ უფრო ასუსტებს.

იმის მიუხედავად, რომ მოთხრობა და ფილმი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვთვლი, რომ ისინი თვალსაჩინოდ ასახავს მეტამორფოზის ორ მხარეს. მოთხრობაში ერთსახედ ქცევის პროცესს პირდაპირ ვხედავთ. ბერისა და ნაძვის პერსპექტივას მოთხრობაში მათი წერილით ვეცნობით, რომელიც არ განასხვავებს არც ერთს, შერწყმული თვალთახედვითაა დაწერილი და სწორედ ეს მონაკვეთი ხდის მოთხრობას ასე განსაკუთრებულს. წერილში ვამჩნევთ როგორ იცვლება პერსპექტივები, ხმები ნაძვისა და ბერის. ბერი და ნაძვი ფიქრობენ როგორც ადამიანი და როგორც ბუნება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაძვი არ გადაიქცევა ადამიანად, არამედ ბერი გადაიქცევა ნაძვად, ის თავისი შვილისათვის ამოთხრის მიწას, დაიმარხავს თავს და განთიადს, როგორც ნაძვი ისე შეეგება. ავტორი ამით მიგვითითებს ადამიანის საწყისზე, რომელიც არის ბუნება, დედაბუნება.

ადამიანის ხედ ტრანსფორმაცია ხშირად გვხვდება ლიტერატურის სამყაროში. შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ეს უბრალოდ მოულოდნელი გადახვევაა ლიტერატურაში და მხოლოდ მკითხველის გაოცებას ემსახურება, მაგრამ თვალსაჩინოა, რომ საუკუნეების განმავლობაში ბევრი მწერალი იყენებს ადამიანის ტრანსფორმაციას არა მხოლოდ ინტერესის გამძაფრების მიზნით.

გარდაქმნაში დევს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ყოველი ნაწარმოებისათვის სხვადასხვაა. მაგალითად ოვიდიუსის მეტამორფოზებში ვხვდებით დაფნეს და აპოლონის მოთხოვნას, სადაც დაფნე თავის მამას, მდინარეების ღმერთს შესთხოვს დახმარებას, რომ მისით მიხილულ აპოლონს დაემალოს.

საინტერესოა, რომ დაფნე პირდაპირ ითხოვს ტრანსფორმაციას, რაც მას შეუმჩნეველს გახდის - დაფნე გადაიქცევა ხედ. ტრანსფორმაციის პროცესს ოვიდიუსის დეტალურად აღწერს: როგორ გადაიქცევა ადამიანის თმა ხის ფოთლებად, ხელები ტოტებად, ფეხები ფესვებად და ა.შ. ეს გვაჩვენებს, როგორი დიდი ფიზიკური მსგავსებაა ადამიანსა და ხეს შორის.

ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე, მეტამორფოზა გაქცევის, დამალვის როლს თამაშობს. ის არ ქრება, არ კვდება, არამედ იქცევა არა-ადამიანურ საგნად, რომელიც ვერ გახდება აპოლონს მსხვერპლი. ამის მიუხედავად, აპოლონის ისევ ისე ძლიერად უყვარს დაფნე და ნათქვამიც არის, რომ ის გრძნობდა, როგორ ფეთქავდა დაფნეს გული ხის შიგნიდან. დანტეს ღვთაებრივ კომედიაში ხედ ტრანსფორმაციას სასჯელის სახე აქვს. დანტესთან ის ადამიანები, რომლებიც სუიციდით დაიღუპნენ, გამომწყვდეულები არიან ხეებში. ეს არის მათი სამუდამო სასჯელი, ისინი ვერასდროს დაუბრუნდებიან თავიანთ სხეულებს, რადგან თავადვე აირჩიეს სხეულთან გაყრა.

ოვიდიუსთან ტრანსფორმაცია ხედ არ ნიშნავს სიკვდილს, გაქრობას, არამედ წმინდად გარდაქცევას, სადაც ინახება შენი ადამიანობის, არსებობის რაღაც ნაწილი.

სწორედ ეს ჩანს გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „წერილი ნაძვებს“. იმის მიუხედავად, რომ ამ შემთხვევაში ხედ გადაიქცევა არც გაქცევას, არც დასჯას და არც სიკვდილს არ ნიშნავს. ბერი გადაიქცა ნაძვად, თავის შვილად, მან დათმო ადამიანობა იმისათვის, რომ ნაძვს ეცოცხლა და მიიღო მჯეროდეს, რომ იმ ნაძვივც ძგერს ბერის გული, ისინი შეერთდნენ, გახდნენ ერთსახე. ბერი არ მომკვდარა მის გულზე შემოჭდობილი ფესვებით.

ჩემთვის, მოთხრობა და ფილმი ერთმანეთის კომპანიონია, ვერ ვიტყვით, რომ მოთხრობაში



პროტაგონისტი ბერია, ამ როლს ნაძვი და ბერი თანაბრად ინაწილებენ, ფილმში კი ნაკლებად ვხედავთ ბერისა და ნაძვის შერწყმას, უფრო ვეცნობით სოფლის, ხალხისა და საზოგადოების დამოკიდებულებას, რაც საკმაოდ მძაფრად არის გადმოცემული. ვფიქრობ, მოთხრობა და მისი ეკრანიზაცია ერთი მთლიანობის ორი ნაწილია და ვთვლი, რომ ერთმანეთს ავსებს.

გოდერძი სიცოცხლის ბოლომდე ესწრაფოდა ბუნებისა და ადამიანის ერთობას, ცდილობდა თავადაც ძალიან ახლოს ყოფილიყო საკუთარ საწყისთან და ბუნებასთან. მცდელობის მიუხედავად, ის ვერასდროს მიდიოდა ისე ახლოს, როგორც ბერი მივიდა, ნაძვით მხარზე. ამას გოდერძი ჩოხელის უკანასკნელ ჩანაწერშიც ვკითხულობთ:

„გველისმჭამელი რო იყო, იმანაც ხო იცოდა ჩიტების, ბალახის ენა და მერე დაკარგა... აი, ეგრე ვარ. გრძნობა დავკარგე - სიტყვის თქმის უნარი. გალობენ ჩიტები, ჩემს გულში კი გალობა არ შემოდის, თითქოს ტყვიაა, ვერ ვგებულობ იმ გალობის გემოს ...“

მარიამ კაკალაშვილი